ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5235664

ნომერი: AR1795925

თარიღი : 22.12.2020

გაცემის თარიღი : 23.12.2020

გაცნობის თარიღი : 23.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი , დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 22 დეკემბერს №AR1795925 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 25

ნოემბრის №5201299 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.036.746) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5208331 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის 03 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 1162.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1203.1 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 583.4 კვ.მ-ის ნაცვლად 542.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №892018715701; მომზადების თარიღი: 20/08/2018 წ.), ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებული №01.72.14.036.746 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს “დიდი დიღომი” (საიდენტიფიკაციო ნომერი: №405132663). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს “დიდი დიღომი”-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დათო ყიფშიძე. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია დათო ყიფშიძის მიერ განმცხადებლის - ირაკლი მაზიაშვილის სახელზე გაცემული 2019 წლის 01 ოქტომბრის მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 191200928), რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ საცხოვრებელი და საოფისე ფართობების ცვლილება არ იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1203.1 კვ.მ., საოფისე ფართობად 542.4 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201299 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.